საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/40

ქ.თბილისი

„29" სექტემბერი 2017 წ.

„წავკისის ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 18 აპრილის N6/16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „წავკისის ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 18 აპრილის N6/16 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 16 ოქტომბერი";

2. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

საფუძველი: კომისიის ადმინისტრაციის უფროსის ი. ხარებავას მოხსენებითი ბარათი (შ-10 /7354-17, 28.09.2017წ.).

კომისიის თავმჯდომარე — კახი ბექაური